ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №87

ქ. ბათუმი **28 აპრილი 2019 წ.**

ერთის მხრივ ა(ა)იპ ,,ბათუმის კულტურის ცენტრი“ (შემდგომში– „შემსყიდველი“), დირექტორის ჯონი საბაშვილის სახით და მეორეს მხრივ ფ.პ. ,,მაია ჯაბუა“ (შემდგომში - „მიმწოდებელი“) ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის საფუძველზე (SMP190001920) (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განკარგულება 23.04.2019 №49) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით მიმწოდებელი ვალდებულია, როგორც მოწვეულმა მომღერალმა მონაწილეობა მიიღოს ,,შემსყიდველის“ მიერ ორგანიზებულ ბათუმობისადმი მიძღვნილ საკონცერტო პროგრამაში, რომელიც დაგეგმილია 2019 წლის 28 აპრილს (CPV92312100) შემდგომში- ,,მომსახურება”.

1.2. ჩატარების ადგილი ბათუმის ბულვარი, კოლონადები;

1.3. რეპერტუარი: ,,კარალეთის დღეები“

2. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 2800 (ორიათასრვაასი) ლარს.

2.2. მომსახურების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, (საშემოსავლო გადასახადი) რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

2.3 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

3. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

3.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ა(ა)იპ ,,ბათუმის კულტურის ცენტრის“ ღონისძიებების მენეჯერი ზ. ჩართოლანი.

3.2. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე მათ შორის მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს შესრულებული მომსახურება ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების წარმოდგენის შემდეგ.

4.3. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შემდეგ.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მიმწოდებელს წინასწარ გააცნოს ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულებისას.

ბ) მომსახურების შესრულების დამოწმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში მოახდინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება.

გ) მიმწოდებელს აუნაზღაუროს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით შესყიდვის მომსახურების სრული ღირებულება, მომსახურების დასრულებისთანავე.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

ბ) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების, შუალედური და საბოლოო ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით;

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ან შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

7.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელ-შეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7.4. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში.

8. მომსახურების გაწევისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადები

8.1. მომსახურების გაწევის ვადაა 2019 წლის 28 აპრილი.

8.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2019 წლის 30 მაისის ჩათვლით.

9. ფორს-მაჟორული სიტუაციები

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9.2. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორს-მაჟორული გარემოებათა დასრულების შემდეგ.

9.3. მხარეს, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყონებლივ უნდა აცნობოს წერილობით ამის შესახებ მეორე მხარეს. ამასთან მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არს-ებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

10. გადასახადები და ბაჟები

10.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდაზე.

11. შეტყობინება

11.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, მეილის, დეპეშის, ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

11.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

12. სხვა პირობები

12.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

12.2. ხელშეკრულება ძალაში შედის, მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

12.3. ხელშეკრულება იდება ორი ერთნაირი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების დამდებ მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

,,შემსყიდველი“	,,მიმწოდებელი“
ა(ა)იპ ,,ქ. ბათუმის კულტურის ცენტრი“	ფ.პ. ,,მაია ჯაბუა“
სახელმწიფო ხაზინა	საბანკო რეკვიზიტები:
ანგარიშის ნომერი:	სს ,,ბანკი ქართუ“
7 4070 3459	ბანკის კოდი CRTUGE22
საიდენტიფიკაციო კოდი: 245612109	პ.ნ. 01009001039
მის: ბათუმი, ზღვისპირა პარკის ტერიტორია	ა/ნ GE39CR 0000 0017 0178 4506
დირექტორი	
- - - - - - - - - - - -	- - - - - - - - - - - -
ჯონი საბაშვილი	მაია ჯაბუა